სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 3 23 0000947481

31/07/2023

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) დოქტორანტურის დებულებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 4 აგვისტოს N01-05-04/104 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2023/2024 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
3. სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge ან შესაბამის ფაკულტეტზე 2023 წლის 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით (განცხადების ფორმა იხ. დანართში 1, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართში 2);
4. ელექტრონულ პლატფორმაზე აპლიკანტის მიერ ატვირთული საბუთების პირველადი შემოწმება დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ პირებს (საკონტაქტო პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართში 3);
5. ფაკულტეტებიდან დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ვიზირებული განცხადებები არსებული წესის (საქმის წარმოების სისტემის (eflow) მეშვეობით) თანახმად გადაეგზავნოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;

6. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2023 წლის 14 სექტემბრის 10^{00} საათიდან, სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (კომპიუტერული ცენტრი -1, მე-6 სართული, კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული; კოსტავას ქ. N68). საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2023 წლის 14 სექტემბრის 10^{00} საათიდან 15 სექტემბრის 14^{00} საათამდე გამოცდის ჩატარების ადგილზე. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს 2023 წლის 15 სექტემბერს სტუ-ის ვებგვერდზე;
7. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად გასაუბრება უცხო ენაში ჩატარდეს 2023 წლის 14 სექტემბრის 11^{00} საათიდან სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში, კოსტავას ქ.N77 (ცენტრალურ ბიბლიოთეკაში). შედეგები გამოქვეყნდეს სტუ-ს ვებგვერდზე 2023 წლის 15 სექტემბერს;
8. გასაუბრებები საფაკულტეტო დროებით მიმღებ კომისიებთან ჩატარდეს 2023 წლის 18 სექტემბერს 10^{00} საათიდან. გასაუბრების შედეგები (საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი - ჩასარიცხ აპლიკანტთა სია) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2023 წლის 19 სექტემბერს. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2023 წლის 19 სექტემბრიდან 21 სექტემბრის 14^{00} საათამდე. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2023 წლის 22 სექტემბერს;
9. საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (2023 წლის 23 სექტემბერიდან 27 სექტემბრის ჩათვლით (კვირის დღის გარდა)) აპლიკანტი ვალდებულია გააფორმოს უნივერსიტეტთან აკადემიური (სასწავლო) და ადმინისტრაციული (საფინანსო) ხელშეკრულებები;
10. სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში საფაკულტეტო დროებითი კომისიების თავმჯდომარეებმა მოხსენებითი ბარათები, საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) და აპლიკანტთა ხელშეკრულებები (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს) უნდა წარმოადგინონ 2023 წლის 28 სექტემბერს;
11. სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა 2023-2024 სასწავლო წლისათვის სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება), არაუგვიანეს 2023 წლის 1 ოქტომბრისა;
12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
13. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
14. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმის წარმოების დეპარტამენტმა;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორის მოადგილე
ზურაბ გასიტაშვილი